

მიგრაციული ტენდენციები, როგორც ევროკავშირის უსაფრთხოების
გამოწვევა

მარიამ ზედგინიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ ზედგინიძე

26.06.2017

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არსებული თეორიების (ლიბერალიზმი/კონსტრუქტივიზმი) გამოყენებით იკვლევს ევროკავშირში მიგრაციული ტენდენციების გაძლიერების ფონზე შექმნილ ვითარებას, კონკრეტულად კი აქცენტი კეთდება უსაფრთხოების კუთხით წარმოქმნილ გამოწვევებზე. ნაშრომი განიხილავს რამდენად თანამიმდევრულები და ერთიანები არიან ევროგაერთიანების ლიდერები მიგრაციული კრიზისის პრობლემის გადაჭრისას – კონტინენტზე გახშირებული ტერორისტული აქტების შედეგად წარმოქმნილმა შეუქცევადმა საფრთხემ მოიტანა მეტი ინტეგრაცია, თუ პირიქით კოლექტიური უსაფრთხოების განცდა ნაციონალისტური განწყობების გაძლიერებით ჩანაცვლდა. ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკის ნაკლოვანებები და ძლიერი მხარეები. ასევე ის თუ რამდენად კარგად არის გააზრებული უსაფრთხოების ცნება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში.

ნაშრომის ძირითადი მიზანია გადასინჯოს ევროსკეპტიკოსებსა და ევროკავშირის რიგი ქვეყნების წევრების ლიდერებში ფართოდ აღიარებული შეხედულება, რომ მიგრაციული ტენდენციებს გაძლიერება წარმოადგენს ევროკავშირის მთავარ საფრთხეს და ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა მყარ ნიადაგს უქმნის ტერორიზმს. ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება, მსჯელობა წარმართულია, კონტენტ ანალიზის, დისკურს ანალიზისა და process tracing-ს მეთოდებზე დაყრდნობით. კვლევის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოჩენილი ტენდენციებზე, თეორიების განხილვის და ასევე ემპირიულ ცოდნის ანალიზზე დაყრდნობით მიღებული შედეგებით გამოიკვეთა, რომ მიგრაციული ნაკადების ზრდამ ევროკავშირის სიმშვიდე დაარღვია, გამოცდა მოუწყო ევროკავშირის ერთიანობას და უსაფრთხოების მიმართულებით წარმოქმნა დამატებითი გამოწვევები, თუმცა სტატისტიკამ და სხვა ფაქტოლოგიურმა მონაცემებმა ასევე ცხადყვეს, რომ არ შეიძლება, მიგრაციული ტენდენციების გაძლიერება და ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა დასახელდეს ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო დროს ტერორისტული საფრთხის ზრდის მთავარ მიზეზად. ამასთან დადასტურდა ვარაუდი,

რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული თეორიები სამხედრო ძლიერებისა და უსაფრთხოებას კონცეფციებს სრულყოფილად ვერ მიჯნავენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უსაფრთხოება, მიგრაცია, ევროკავშირი, კრიზისი, პოლიტიკა, ტენდენცია, გამოწვევა, ტერორიზმი.

Abstract

The thesis explores the situation in the context of strengthening migration trends in the EU, using the theories in the field of international relations (liberalism / constructivism), and in particular the emphasis on security challenges. The paper discusses how consistent and united are the leaders of the European Union in solving the problem of migration crisis - an irreversible threat created as a result of frequent terrorist acts on the continent has brought in greater integration, or on the contrary, the sense of collective security has been replaced by the strengthening of nationalist sentiments. The paper reviews the weaknesses and strengths of EU immigration policies. Just as well as how well is discussed the concept of security in the discipline of international relations.

The main goal of the thesis is to revise the widely recognized view of the Europeans and leaders of the EU member states that strengthening migration trends is the main threat to the EU and the liberal immigration policy creates a solid ground for terrorism. The work is considered in the qualitative research category, discussions are based on content analysis, discourse analysis and process tracing methods. Based on the trends presented in the review of literature used within the survey, the theory of analysis and the empirical knowledge analysis showed that the increase in migration flows violated the ecology of the European Union, and the challenge for the EU unity and security was created with additional challenges, but statistics of other factorial data also show that the migration trends and liberal immigration policy can be named as the main cause of the recent threat of terrorism in the European Union. It has also been proved that the theories that prevail in international relations can not fully convey the concepts of military strength and security.

Key words: security, migration, EU, crisis, policy, trend, challenge, terrorism.

მადლობა

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა იმ პროფესორ–მასწავლებელს, რომლებმაც სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პერიოდში გამიზიარეს დაგროვილი ცოდნა. ნაშრომზე მუშაობისას კიდევ უფრო უკეთესად გამოიკვეთა გასული ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მიღებული ცოდნის სამეცნიერო ძიების პროცესში გამოყენების მნიშვნელობა.

განსაკუთრებული მადლობა მსურს გადავუხადო წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ დავით დარჩიაშვილს. კვლევის დაგეგმვის ეტაპზე, მისმა რეკომენდაციებმა დიდი წვლილი შეიტანეს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკად შემერჩია ისეთი საკითხი, რომელის თაობაზე ჩატარებულ კვლევის შედეგს თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნებოდა. დავით დარჩიაშვილმა ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე ბევრი საჭირო რჩევა მომცა. შეიძლება ითქვას, რომ მისი რჩევების გათვალისწინების საფუძველზე შევძელი ისეთი ფართოდ განხილვადი საკითხის, როგორც ევროკავშირი და მიგრაციაა, შედარებით ვიწრო კონტექსტში განხილვა და შეძლებისდაგვარად ახალი ცოდნის შექმნა.

ამასთანავე, აკადემიურ ხელმძღვანელის მსგავსად, მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც შერჩეულ საკითხზე მუშაობისას ბევრი საჭირო რჩევა მომცა.